ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა

(გეოგრაფიული სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა და შეისწავლა განცხადება და ინიციატივა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახებ. წარმოდგენილი ინიციატივა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილების 2015 წლის 1 ივნისის №239ნბ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. ინიციატივა წარმოდგენილია კანონით დადგენილი წესით.

პროექტს თან ერთვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის ორთოფოტო. განსახილველი მასალები გამოქვეყნებულია საჯაროდ და ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან პრეტენზია არ წარმოთქმულა.

განხილვის შედეგად კომისიას ინიციატივის და თანდართული მასალის განხილვის, საჭირო ინფორმაციების მოძიებისა და შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის და თანმხლები სამი ჩიხისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახებ და დასაშვებად სცნო მასალები განკარგულების პროექტთან ერთად გადაგზავნილ იქნას გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე: მარინე ბერაძე